ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7474906

ნომერი: AR11088807

თარიღი : 28.04.2025

გაცემის თარიღი : 13.05.2025

გაცნობის თარიღი : 13.05.2025

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩა, N 21;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან ხუხაშვილი პ/ნ 01007011144
- თბილისი ს.ცინცაძის ქ. N 33 ბ. 36

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის სამსახურის 2020 წლის 08 დეკემბრის №5216724 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2025 წლის 28 აპრილს №AR11088807 განცხადებით მომართა ლევან ხუხაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2020 წლის 08

დეკემბრის №5216724 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2020 წლის 24 ნოემბრის №5198826 ბრძანებით შეთანხმდა №01.19.34.002.001 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე საწყობის არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2020 წლის 08 დეკემბრის №5216724 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2020 წლის 08 დეკემბრიდან 2022 წლის 08 მარტის ჩათვლით.
განმცხადებლის ითხოვს სამსახურის 2020 წლის 08 დეკემბრის №5216724 ბრძანებაში ცვლილების შეტანას, კერძოდ, განმარტავს რომ არასწორად არის მითითებული საპროექტო ობიექტის ფუნქცია. განმცხადებელი ასევე, განმარტავს რომ დღევანდელი მდგომარეობით საპროექტო ობიექტს განახლებული აქვს მისამართი.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ 2020 წლის 26 ნოემბრის №AR1790471 განცხადებით მოთხოვნილ იქნა №01.19.34.002.001 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმებული საწყობის არქიტექტურული პროექტის საფუძველზე მშენებლობის ნებართვის გაცემა. სამსახურმა, განიხილა აღნიშნული საკითხი და დააკმაყოფილა განმცხადებლის მოთხოვნა, თუმცა, სამსახურის 2020 წლის 08 დეკემბრის №5216724 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის შედეგად საპროექტო ობიექტის ფუნქციად „საწყობის“ ნაცვლად „მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი“, ხოლო საკადასტრო კოდად „№01.19.34.002.001“ ნაცვლად „№01.72.14.035.890“ დაფიქსირდა.
სამსახურმა, ასევე დაადგინა, რომ დღევანდელი მდგომარეობით საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით (განცხადების რეგისტრაცია: №882025459198; მომზადების თარიღი: 25/04/2025 წ.) №01.19.34.002.001 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მისამართს წარმოადგენს ქალაქი თბილისი, გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩა №21.
საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით (განცხადების რეგისტრაცია: №882025459198; მომზადების თარიღი: 25/04/2025 წ.), №01.19.34.002.001 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს სვეტი-53 (საიდენტიფიკაციო ნომერი: 208146754). წინამდებარე განცხადებაზე წარმოდგენილი 2025 წლის 25 აპრილის მინდობილობით დგინდება განმცხადებლის ლევან ხუხაშვილის უფლებამოსილება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა სამსახურის 2020 წლის 08 დეკემბრის №5216724 ბრძანებაში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ვბრძანებ:
1.შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 08 დეკემბრის №5216724 ბრძანებაში და აღნიშნული ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„1. გაიცეს ქალაქ თბილისში, გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩა №21-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.19.34.002.001) სამსახურის 2020 წლის 24 ნოემბრის №5198826 ბრძანებით შეთანხმებული საწყობის არქიტექტურული პროექტის საფუძველზე მშენებლობის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალოს მშენებლობის სანებართვო მოწმობა.“.
2.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 08 დეკემბრის №5216724 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3.წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 08 დეკემბრის №5216724 ბრძანებასთან ერთად.
4.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.